გეოლოგია – 1 ვაკანსია	<ol style="list-style-type: none"> მაღალაშვილი გიორგი – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ოქროსცვარიძე ავთანდილ – გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ფოფორაძე ნოდარ – გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქოიავა კახაბერ – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
გეოფიზიკის განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
გეოფიზიკა – 1 ვაკანსია	<ol style="list-style-type: none"> მაჭარაშვილი თეიმურაზ – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
ენერგეტიკა – 1 ვაკანსია	<ol style="list-style-type: none"> კობრეიძე თამაზ – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ქავთარაძე რევაზ – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი შეყრილაძე ირაკლი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
სამთო საქმე – 1 ვაკანსია	ჩხრაძე ნიკოლოზ – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ეკონომიკის მართვის კომპიუტერული მოდელები – 1 ვაკანსია	აბრალავა ანზორ – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები – 1 ვაკანსია	<ol style="list-style-type: none"> კალანდია ალექო – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერლანი მაია – ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ტატიშვილი გრიგორ – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ცინცაძე მაია – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი
მეტალურგია და მასალათმცოდნეობა – 1 ვაკანსია	<ol style="list-style-type: none"> ამირხანაშვილი კობა – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი მიქაძე ომარ – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ფეიქრიშვილი აკაკი – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
ზოოლოგია – 1 ვაკანსია	<ol style="list-style-type: none"> ფარულავა გიორგი – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჯაფარიშვილი გიორგი – ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
მცენარეთა ბიოქიმია – 1 ვაკანსია	ხატისაშვილი ვია – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
თეორიული მედიცინა – 1 ვაკანსია	<ol style="list-style-type: none"> ბეჟია გურამ – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი კიკალიშვილი ლიანა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ჟვანია მზია – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კლინიკური მედიცინა – 1 ვაკანსია	1. ვაშაკიძე ელიზა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
	2. კილაძე მერაბ – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
	3. მესხია ნაპოლეონ – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
	4. ოკუჯავა მიხეილ – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
	5. თვალავა ყარამან – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
	6. ქოჩიაშვილი დავით – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
	7. ჩხობტა არჩილ – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
მეცხოველეობა – 1 ვაკანსია	- ბასილაძე გივი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
ვეტერინარია – 1 ვაკანსია	1. თვალაშვილი ვლადიმერ – ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი 2. ყურაშვილი თენგიზ – ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
საქართველოს ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია – 1 ვაკანსია	1. ანჩაბაძე გიორგი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
	2. არახამია გონელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
	3. მგელაძე ნუგზარ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
	4. ნადირაძე ელდარ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
	5. ჭეიშვილი გიორგი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
სამართალმცოდნეობა – 1 ვაკანსია	1. ბაჩიაშვილი იოსებ – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
	2. ბაძალა მალხაზ – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
	3. ფაფიაშვილი შოთა – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
	4. ფიცხელაური შენგელი – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
	5. შენგელია რომან – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია – 1 ვაკანსია	1. ბათიაშვილი ირაკლი – ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი 2. ბრაჭული ირაკლი – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
ხელოვნების ისტორია და თეორია – 1 ვაკანსია	- სხირტლაძე ზაზა – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები
ძველი ქართული ლიტერატურა – 1 ვაკანსია	1. ალიბეგაშვილი გიორგი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
	2. რაფაეა მანია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
	3. სულავა ნესტან – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ლიტერატურათმცოდნეობა, კულტუროლოგია – 1 ვაკანსია	1. გოდერძიშვილი ქეთევან – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
	2. კრავიშვილი გიორგი – ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი
	3. სიგუა სოსო – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
	4. ხალვაში რამაზ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

იცოცხლეთ ჩვენთვის!..

ღმერთის სუნთქვა



უთქვამთ, სკოლის მასწავლებელი ისეთ ძალაუფლებას ფლობს, რაზეც პრემიერ-მინისტრები მხოლოდ და მხოლოდ თუ იოცნებებენო...

ვინც ჩემი ქართულის მასწავლებელს – ლიანა ლოლობერიძეს იცნობდა და იცნობს, ამაში ყველა დამეთანხმება.

მას ყველასგან განსხვავებული „ძალაუფლება“ ჰქონდა მუდამ – დიდ სიყვარულზე, პატივისცემასა და აღფრთოვანებაზე დაფუძნებული.

არადა, ძალაუფლება თითქოს არც ტოვებს ადგილს ამდენი და ასეთი ემოციისთვის.

ლიანა ლოლობერიძისეული ძალაცა და უფლებაც იმით არის ასეთი ძლიერი, რომ მხოლოდ სიყვარულიდან ამოდის.

მაინც რაშია მისი ძალა? – ქართული ლიტერატურის უბადლო ცოდნაში თუ არტიტულობაში? სწავლების განსაკუთრებულ ნიჭში თუ წერის განუმეორებელ ოსტატობაში... რა თქმა უნდა, ყველაფერში ერთად... ყველა ეს დეტალი ქმნის სწორედ ლიანა ლოლობერიძის განუმეორებელ პორტრეტს!

დღემდე მახსოვს ის დღე, პირველად რომ შევადე მეხუთეკლასელმა ხონის მესამე საშუალო სკოლის კარი... ახალგაზრდა პედაგოგი შემოვიდა კლასში; თავიდან ოდნავ მკაცრი მოგვეჩვენა; დავიძაბეთ; თუმცა, შეფარულად ისე გაგვიღიმა, ამოვისუნთქეთ; მერე ისეთი „უცნაური“ ლაპარაკი დაიწყო, დიდი, ფართო, გულწრფელად გაოცებული თვალებით ვუყურებდით.

იმ დღეს სულ სხვანაირი წამოვედი სახლში. ჩემი ქართველობაც გადავფასე; ჩემი ფესვებიც; ჩემი ობლობაც; ჩემი მოვალეობებიც. გავიზარდე თითქოს რამდენიმე საათში. სხვა გავხდი.

ასე გაგრძელდა დიდხანს – ხან „თორნიკე ერისთავთან“ ერთად იცვლებოდა ჩვენი ტკივილები და ხან „სტუმარ-მასპინძელთან“ ერთად სხვაფერდებოდა ჩვენი წარმოდგენები.

უცვლელი მხოლოდ ის იყო – ჩვენი მასწავლებელი ლიანა ლოლობერიძე – მტკიცე ხმითა და ძლიერი ბუნებით...

ადამიანებად გვზრდიდა; ისეთ ადამიანებად, რომ დღემდე ვცდილობ, რაიმე არ შემეშალოს; იმედები არ გავუცრუო ჩემს ლიანა მასწავლებელს, რომელიც აგერ – 19 ოქტომბერს, თურმე, 95 წლისავე ხდება... ვინ დაიჯერებს ამას, ვინც მოუსმენს მის თავანკარა, ძარღვიან სიტყვას?

ღირსების ორდენის კავალრისა და ხონის საპატოო მოქალაქის უპირველესი გამარჯვება მაინც ის არის, ალბათ, რომ უამრავ ბავშვს არა მარტო ასწავლა, საკუთარი თავიც აპოვნინა...

მეც ვიყავი ერთ-ერთი მათ შორის და მეც ბავშვით გაშიშვლდა, ამას წინათ რომ ჩემზე თქვა – „ვახტანგმა იმედები გაგვიმართლა“...

თუ მართლა გავამართლე, ეს იმ დღის ბრალიცაა, თქვენი საკლასო თათხის კარი რომ შემოვადე იმ დღეს...

ღმერთის სუნთქვა სულ რამდენჯერმე მიგრძნია ზურგს უკან ცხოვრებაში.

თქვენთან შეხვედრა მათ შორის ერთ-ერთი იყო.

მადლობა თქვენ ამ „სუნთქვისთვის“! კიდევ მრავალი წელი იყოს თქვენ მიერ გავლილი.

გვჭირდებით! ახლაც გვჭირდებით და ახლაც უამრავ რამეს ვსწავლობთ თქვენგან... იცოცხლეთ ჩვენთვისაც, ჩვენო ლიანა მასწავლებლო!

ვახტანგ ნიჭიშვილი,
ვაკანსიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი

ქართული სიბერეები სანტა ჩეჩილიას აკადემიის არქივში



ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლებმა იტალიაში ყოფნის ბოლო დღეებში სანტა-ჩეჩილიას აკადემიის არქივში იმუშავეს. ინფორმაციას ფოლკლორის ცენტრი ავრცელებს.

„ჯერ კიდევ ორი წლის წინ, სარდინიაზე, კალიარის უნივერსიტეტში ეთნომუსიკოლოგ მარკო ლუკუსთან ერთად მუშაობის დროს, სანდრო ნათაძე გავცნო ხმოვანი ჩანაწერების მეჭდურ კატალოგს, სადაც ნახა, რომ რომში სანტა-ჩეჩილიას აკადემიის არქივში ინახებოდა ეთნომუსიკოლოგ

ლეო ლევის მიერ 1964 წელს, თბილისში, ქართველი ემბრალებების მიერ ჩანერილი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები.

სწორედ ამ მასალების გაცნობის მიზნით ვიმყოფებოდით სანტა-ჩეჩილიას აკადემიაში. კვლევის პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ გარდა აღნიშნული ჩანაწერებისა, არქივში ინახება კიდევ სხვა ქართული ჩანაწერებიც, რომელიც ლეო ლევიმ საქართველოდან იტალიაში 1964 წელს ჩაიტანა.

ასევე მოვიკვლიეთ იტალიური რადიოგადაცემის ჩანაწერები, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა დროს ჩანერილი ქართული სიმღერები.

გამომდინარე იქიდან, რომ სანტა ჩეჩილიას არქივს არ ჰქონდა მასალა იდენტიფიცირებული, შესაბამისად, მათ საერთო კატალოგშიც არ იყო მოხსენიებული. ჩვენი მუშაობის შედეგად აღინერა არქივში დაცული ქართული ხალხური სიმღერები და აკადემია სანტა ჩეჩილიას არქივის კატალოგში შევიდა.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს საელჩოს იტალიაში, კერძოდ, ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ბატონ ირაკლი ვეკუას“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ნაციონალური მოძრაობის“ ახალი ლოზოგო – მოწოდებები დეინფორმაცია და უსაფრთხოება...

„ჩვენ ვაფასებთ მოქალაქეთა მთავრობის გამჭვირვალებას ამ უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე და განმარტობთ მხარდაჭერას...“

„ლობისტების ჯგუფს ემატება კიდევ ახალი სახელი და გვარები, რომლებიც ღიად არიან ჩართული დესტრუქციული ოპოზიციის...“

„არ ვიცი, ბორჯღაძენის განცხადებას რა უნდა ვუწოდო. ეს განცხადებები ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი სტანდარტისაა...“



ბორჯღაძენის უზღოვრობის კარგი გაიყვანა და... მოქალაქეებს შეგვაღარა!

ამ ვინაობა ჯგუფებს და მათ მიერ ლობისტურად წარმოდგენილი „განსაკუთრებით ასეთი სამაგი...“

როდესაც გამოდიხარ და საქართველოს მოქალაქეებს ადარებ, ამბობ, რომ საქართველოში ბნელა და მოლდოვაში სინათლე და დემოკრატიის შუქურაა...“

ბორჯღაძენის განცხადება კი ოპოზიციისთვის უკვე პოლიტიკური განცხადებების საბაზი გახდა...“

„ავტორიტარი სახელმწიფოები, მუნიციპალიტეტები, ვერ ხდებიან ევროკავშირის წევრი...“

ავტორიტარიზმის შესაძლებლობა გამოირიცხოს ახლაც და სამომავლოდაც; გატარდეს რეფორმები...

„ავტორიტარიზმი არის უკვე უკეთესი ვიდრე ბოროტობა...“

„ბორჯღაძენის განცხადებას და მათი საგარეო საქმეთა მინისტრი, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს...“



რათა განწყობა შეიცვალოს. რასაკვირველია, განწყობა ვერ შეიცვლება, ვარა ურთი მხედველობა, რომელსაც ნაცნობი პქეია და არაფერი ემეცლება...“

„საბოლოო და დავით ქართველიმ-ვილი ამბობს, რომ ძალიან სამწუხაროა, როცა ნაცლომისტებს კიდევ ერთი ადამიანი, ევროკომისიის არი ჯოზეფ ბორჯღაძენი შეუერთდა...“



„ბორჯღაძენი უკრაინაში შეამომხა, როგორ მიდიოდა ასოციაციის გათვალისწინებული რეფორმების...“

საკითხი, რა მდგომარეობაში იყო ქვეყანაში კორუფცია, სასამართლო სისტემა და ა.შ. 2020 წელს რეფორმების პასუხისმგებელი პირი მიხეილ სააკაშვილი იყო...“

ლიკა ბერიკაშვილი

„თბილისის მუხალე პროექტის“ პრეზენტაცია პარაზი ინვესტიციის მარტოაჰს!

ლევან დავითაშვილი: ეს პროექტი მნიშვნელოვანი სიბნელია, რომ „შუა ღირებულების“ მარტოაჰს დიდი პოტენციალი აქვს და სწორად ვითარდება



30წელია ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა 16 ოქტომბერს „თბილისის მუხალე პროექტის“ პრეზენტაციის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა...“

„ჩვენთვის არაბთა გაერთიანებული საამიროებთან ეკონომიკური თანამშრომლობა მეტად პრიორიტეტულია...“



ევრონიკური კავშირის ჩვენთვის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროა, სადაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი აქტიურობა გვაქვს...“

„ღვინის აკვნანი“ – მუზეუმი ღია სის ქვეშ

ღვინის აკვნად წოდებულ არქეოლოგიურ კომპლექსში მორა ატაბათ გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასრულდა

მანგულის მუნიციპალიტეტში, „გადაჭრილ გორაზე“, სადაც მსოფლიოში ღვინის უძველესი კვალი იქნა აღმოჩენილი, არქეოლოგიური ზონის დაცვისა და განვითარების მიზნით შექმნილი პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კერძოდ, გადახურვის კონსტრუქციის საყრდენი სვეტებისთვის მოწყობილი საძირკვლები; სვეტებზე დამონტაჟდა ლითონის ფერმული ტიპის გადახურვის კონსტრუქცია, რაზეც მოწყობილი პოლიკარბონატის ფილები, ხოლო ლითონის კონსტრუქციაზე – დაკიდებული პანდუსი შეფიცივრით და მოაჭირით; დამონტაჟდა შიდა და გარე ელექტროგაყვანილობა, შესაბამისად, არქეოლოგიური ძეგლის დათვალიერება, გარემოსა და ლანდშაფტის აღქმა უკვე შესაძლებელია ფერმებზე დაკიდებული საფეხმავლო პანდუსის საშუალებით.

სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსების ფარგლებში გადაჭრილ გორაზე ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის 2023-2024 წლებისთვის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 110 212 ლარი.

„გადაჭრილ გორაზე“ ჩასატარებელ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს უძღვევოდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია – შპს „ნიუ კონსტრაქშენი“.

„გადაჭრილი გორის“ არქეოლოგიური ზონა და



ბის დღევანდელი წევრებთან ერთად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილი დაესწრო.

„თბილისის მშრალი პორტი“ თანამედროვე, ინტერ-მოდალურ ლოგისტიკურ ცენტრს წარმოადგენს – მათუბისა და ფოთის პორტების გაგრძელებას, რომელიც ემსახურება მათ, აკავშირებს პორტებსა და ლოჯისტიკურ ობიექტებს. ის ფუნქციონირებს უკვე მიმდინარე წლის ბოლოს დაიწყებს და დასავლეთ აზიის წარმოების ცენტრებს აღმოსავლეთ ევროპის სამომხმარებლო ბაზრებთან „შუა დერეფნის“ საშუალებით დააკავშირებს – საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყაზახეთის როგორც საზღვაო, ისე „მშრალი პორტების“ ქსელის გამოყენებით.

„მშრალი პორტი“ თბილისის აეროპორტიდან 6 კმ-ში, 283,000 კვ.მ ფართობზეა განლაგებული, დაგეგმილია A (9,800 მ2) და B (2,500 მ2) კლასის სასაწყობო სივრცეების



ნამოსახლარი მიწის შენობა-ნაგებობების სახით არის წარმოდგენილი, რომელთაც აღმოჩენის შემდგომ ქარი და წვიმა რეცხავდა, ამიტომ 2022 წელს კულტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ეგიდით დაიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ძეგლი ყოფილიყო დაცული და სტუმრებს ენახათ ადგილი, სადაც აღმოჩნდა როგორც ვაზის, ასევე ღვინის უძველესი ნაკვალავი მსოფლიოში.

06 ოქტომბერს: ობიექტზე არქეოლოგიური გათხრები 2013 წელს საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით დაიწყო. ექსპედიციას პროფესორი მინდია ჯალაბაძე ხელმძღვანელობდა. 2014 წლიდან სამუშაოები უფრო მასშტაბური გახდა.

2015 წელს აღმოაჩინეს თიხის ჭურჭელი, რომელიც საქართველოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ანალიზისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფილადელფიის უნივერსიტეტში გაგზავნა, სადაც დადგინდა, რომ ჭურჭლის ფორმები შემორჩენილი იყო 8000-წლოვანი ღვინის ნაშთებში. 2017 წელს ეს არქეოლოგიური აღმოჩენა მსოფლიოს 10 მნიშვნელოვან აღმოჩენას შორის დასახელდა. იგი ავლენს მდიდარ ისტორიას, რომელიც საქართველოს ღვინის აკვნად წარმოაჩენს.

საგულისხმოა, რომ 2021 წელს, როდესაც კულტურის სამინისტრო ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა, მინისტრმა თეა წულუკიანმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის იმდროინდელ მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად მოინახულა ნამოსახლარი. ლევან დავითაშვილის შუამდგომლობითა და მარნეულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის ტერიტორია გადაეცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. რადგან ტერიტორიას მუნიციპალიტეტის მფლობელმა საფრთხე ემუქრებოდა, კულტურის სამინისტრომ გამოყო შესაბამისი სახსრები და მიიღო ზომები მის დასაცავად.

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების მხარდაჭერები არიან საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო და ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტი. ინფრასტრუქტურული სამუშაოების მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

გადაჭრილი გორა იქნება მუზეუმი ღია სის ქვეშ, ასევე საგანმანათლებლო-სამეცნიერო ზონა, სადაც არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდება.

მოწყობა. ობიექტის წლიური გამტარუნარიანობა 200000 TEU-მდეა გათვალისწინებული. ამ ეტაპზე უკვე დასრულებულია „მშრალი პორტის“ ტერიტორიის მოპირკეთება და ოფისის მშენებლობა, ასევე B კლასის საწყობის, მექანიზაციის შენობის და რკინიგზის მშენებლობა.

„შუა დერეფნის მარშრუტი უფრო და უფრო აქტიური ხდება. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საერთაშორისო ინვესტირებთან თანამშრომლობაზე და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე, ხაზს ვუსვამთ ხოლმე ხარისხიან ინვესტიციებს. ახლა სწორედ ასეთი ინვესტიცია ხორციელდება, რაც პირდაპირ კავშირში და სრულადაა თანხვედრაში ჩვენს პოლიტიკასთან და პრიორიტეტებთან, რომელიც „შუა დერეფნის“ ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს იმისთვის, რომ მისი კონკურენტუნარიანობა გლობალურად გაიზარდოს. აქედან გამომდინარე, ამ პროექტით პროფესიონალი ოპერატორების საქართველოში შემოსვლა მნიშვნელოვანი სიგნალია ტერიტორიულ განვითარებისთვის და სხვადასხვა პარტნიორი მხარისთვის, რომ ამ მარშრუტს დიდი პოტენციალი აქვს და სწორად ვითარდება“, – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

AD Ports Group-მა „თბილისის მშრალი პორტის“ შექმნის პროცესის დასრულების შესახებ ცოტა ხნის წინ განაცხადა – შედეგად ჯგუფი 60%-იანი წილის მფლობელი და მთავარი პარტნიორი გახდა. ახალ ლოჯისტიკურ ცენტრს AD Ports Group-ის ლოჯისტიკური კლასტერი მართავს. კომპანიამ „თბილისის მშრალი პორტის“ პროექტში ამ ეტაპისთვის 16 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უკვე განახორციელა, პროექტში მის განვითარებასთან ერთად კიდევ დამატებითი ინვესტიციები ჩაიდება.



ისრაელმა ლიბანში მუნიციპალური შენობას დაარბია

ისრაელმა სამხრეთ ლიბანის მთავარ ქალაქ ნაბათიში, მუნიციპალური შენობაზე საჰაერო თავდასხმა განახორციელა, რის შედეგადაც დაიღუპა მერი და სულ მცირე, ხუთი მოქალაქე. „ინფორმაციის „როიტერი“ ავრცელებს.

მას შემდეგ, რაც 3 ოქტომბერს ისრაელმა პირველად გამოსცა ცნობა ნაბათის, ათიათასობით მოსახლის ქალაქის ევაკუაციის შესახებ, მერმა აჰმედ კაპილმა გააცხადა, რომ ის ქალაქს არ დატოვებდა.

გამოცემის ინფორმაციით, შეტევამ გააჩინა შიში, რომ ისრაელის გაფართოებული საჰაერო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ირანის მიერ მხარდაჭერილი „ჰეზბოლას“ განადგურებას, შეიძლება, სულ უფრო მეტად მოიცავდეს საჯარო მოხელეებს და შენობებს, რომლებიც აქამდე გარკვეულწილად დაცული იყო.

მაკრონმა ნეთანიაჟს გააკრიტიკა

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჟსთან სატელეფონო საუბარი გამართა.

როგორც ისრაელის მედია წყაროებში დაყრდნობით იუწყება, საუბრის დასრულების შემდეგ მაკრონმა ელისეის სასახლეში, დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე ნეთანიაჟს გააკრიტიკა.

„მაკრონმა ნეთანიაჟს არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი ქვეყანა გაეროს გადაწყვეტილებით შეიქმნა. ამიტომ, ახლა არ არის დრო გაეროს გადაწყვეტილებების უკლებელყოფისთვის“, – ციტირებს მედია მაკრონის სიტყვებს.

თავის მხრივ, საპასუხო განცხადება გაავრცელა ნეთანიაჟს ოფისმა.

„შევახსენებთ საფრანგეთის პრეზიდენტს: ისრაელის სახელმწიფო არა გაეროს რეგულაციებზე არამედ დამოუკიდებლობის ომში მოპოვებულმა გამარჯვებამ დააფუძნა, გმირი მებრძოლების სისხლის ფასად, რომელთაგან ბევრი პოლოკოსტს გადაურჩა, მათ შორის საფრანგეთის ვიზის რეჟის“, – ნათქვამია ისრაელის პრემიერ-მინისტრის ოფისის განცხადებაში.

ეპრაელის დისკრიმინაციისთვის 4 მილიონი დოლარით დააჯარიმეს

აშშ-ის სატრანსპორტო დეპარტამენტმა გერმანული ავიაკომპანია „ლუფთჰანზა“ ებრაელი მგზავრების დისკრიმინაციის გამო ოთხი მილიონი დოლარით დააჯარიმა, – ამის შესახებ უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პრესრელიზშია ნათქვამი.

ეს აშშ-ის სატრანსპორტო დეპარტამენტის მიერ დაწესებული ყველაზე დიდი ჯარიმაა.

აშშ-ის სატრანსპორტო დეპარტამენტის გამოცხადებით დადგინდა, რომ 2022 წლის მაისში „ლუფთჰანზამ“ 128 ებრაელს უარი უთხრა ბორტზე ასვლაზე ფრანკფურტში, სადაც ისინი ნიუ იორკიდან მუდარეგულად მგზავრობისას გადასვლას ახორციელებდნენ. გამოძიების მიხედვით, ავიაკომპანიის უსაფრთხოების სამსახურმა პირველი რეისის კაპიტანისგან მიიღო გაფრთხილება, რომ რამდენიმე მგზავრი, რომლებსაც ორთოდოქსი ებრაელებისთვის დამახასიათებელი ტანსაცმელი ეცვათ, არ ასრულებდა ეკიპაჟის მითითებებს.

„ლუფთჰანზამ“ ვერ შეძლო სავარაუდო წესრიგის დამრღვევების იდენტიფიცირება და ამიტომ ყველა ებრაელს აუკრძალა თვითმფრინავში ჩატარება. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ავიაკომპანიამ ბორტზე არ დაუშვა, ერთმანეთს არ იცნობდნენ და ცალ-ცალკე მგზავრობდნენ.



მოვლენის შედეგ



პარსკვლავის პარსკვლავი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა პარიზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ბენო უმბრინის ვარსკვლავი...

ტრადიციული...

„სარბიელის მაპარდა“

პარსკვლავის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ არ ვყოფილვარ და აი, „სარბიელის“ ტრადიციულ 31-ე დაჯილდოებაზე სწორედ ავლაშარში აღმოვჩნდი...

მიზნობრივი, ფოტომასალა მიწოდებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ...

მუნდიალი – 2026

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2026 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრისთვის მესამე კალათაში იქნება...

მესამე კალათაში

Infographic showing FIFA World Cup 2026 qualification statistics for various countries, including Georgia's position in the third group.

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე სულ 12 ჯგუფი შეიქმნება, საიდანაც ზოგი 5-გუნდიანი იქნება...

ჩემპიონთა ლიგა

ბიომ აკრიფა

მსპანსუმა „ტენერიფემ“ საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში „როდესი“ სტუმრად ძალიან ადვილად, 71:47 დაამარცხა...

ვის ვინ ვხვდით?

ქართულ კლუბებში ლეგიონერთა მომრავლებამ რომ გლობალური პრობლემა წარმოიშვა, სისტემატურად დასტურდება ჩვენი გუნდების საერთაშორისო ასპარეზზე განუწყვეტელი ჩაგარდნებით...

უედიგოპი ადასტურებს

იცავს, აღნიშნულ შეხვედრაში კი მასპინძელთა კალათი სამჭეულიანებით კულმამ დაბოძდა, ხოლო ქუთათურთაგან პორსანდამ 17 ქულას 13 მოხსნა დაუმტა...

თენგიზ სერცვაიის სახელობის...

ინფორმაციური საავადმყოფოს ახალი შენობა, როგორც თენგიზ სერცვაიის სახელს აბარებს, შეასაბამება უმაღლეს სტანდარტებს, აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა და ბაქტერიით, რას აუსილავალია ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისთვის



მოდერნიზაციის პროექტის დასრულების შემდეგ, ინფორმაციური საავადმყოფოს ცენტრის ხელმძღვანელობას, ყველა ექიმსა და ექსპერტს, თითოეულ თანამშრომელს ახალი, საკუთარი შენობა, ამ შენობაში გადასვლა, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლიმ კვიციანიამ თენგიზ სერცვაიის სახელობის თბილისის ინფორმაციური საავადმყოფოსა და შიდა ქვეყნის სამედიცინო-პრაქტიკული ცენტრის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს არის ახალი, 11-სართულიანი

შენობა, რომელიც შეესაბამება უმაღლეს სტანდარტებს, აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა და ტექნიკით, რაც აუცილებელია წარმატებული და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისთვის.

დღეს კლინიკაში 352 თანამშრომელია, მათ შორის 86 ექიმი და 71 ექსპერტი. ჩვენი საზოგადოების წინაშე უდიდესი დამსახურებისთვის, თითოეულ თქვენგანს მივსალაგებთ უდიდეს მადლობას გადაგიხადოთ.

კლინიკა გამოჩენილი ექიმის,



მეცნიერისა და პედაგოგის თენგიზ სერცვაიის სახელს ატარებს. ბატონი თენგიზი უშუალოდ იყო ჩართული ამ შენობის მშენებლობის დაგეგმვაში, განხორციელებაში, თვითონ მეთვალყურეობდა თითოეულ დეტალს, სულით და

გულით იყო ჩართული ამ ყველაფერში. დღეს მისი სული ხარობს, როდესაც ეს შენობა იხსნება, სადაც მისი მეგობრები, კოლეგები, მის მიერ აღზრდილი ექიმები უკვე ახალ შენობაში განაგრძობენ საკუთარ პროფესიულ საქმიანობას.

პროფესორი სანაძეძე ოლივიას გამარჯვებული

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ნინო წერეთელმა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვეს.



მინისტრმა გამარჯვებულ მონაწილეებს მიღწეული წარმატება მიულოცა და მათ, დიპლომებთან ერთად, სპეციალური პრიზები გადასცა.

ალექსანდრე წულაძე: „აქ ძალიან ბევრი გამორჩეული და ნიჭიერი ახალგაზრდა შეიკრიბეთ — ეს ძალიან დიდი გამარჯვებაა და გისურვებთ, რომ სულ ასეთი წარმატებით და მიღწევებით გავე-

გრძელებინოთ ცოდნის გარმაგება და ცხოვრების გზაზე სვლა.

როგორც იცით, ჩვენმა ნაკრებმა ქვეყნის სახელით საერთაშორისო ოლიმპიადებზე უკვე იასპარეზა. მჯერა, ჩვენი მოსწავლეები საქართველოს კიდევ ბევრჯერ ასახელებენ და არაერთ გამარჯვებას მოგვიტანენ.

თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მომავალი და მადლობა თითოეულს ამ წარმატებისთვის! დარწმუნებული ვარ თქვენს შესაძლებლობებში და იმედი მაქვს, თქვენი ცოდნითა და შემართებით საქართველოს უკეთესი მომავლის შენების საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ.“

ღონისძიების ფარგლებში 50-

„საქართველოს პარნასი“



17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული საქართველოს რუკის წარდგენა გაიმართა. ღონისძიება ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა პრინციპალმა მამსახურდინამ გახსნა.

რუკის სახელწოდება „საქართველოს პარნასი“ და მასზე აღბეჭდილია ქართული მწერლობის წარმომადგენლების — პოეტების, პროზაიკოსების, მედიკოსების, მთარგმნელების — ფოტოები ან გრაფიკული პორტრეტები, სულ 720 პორტრეტი. იდეის ავტორია კონსტანტინე გამსახურდია.

„რუკაზე პორტრეტები განთავსებულია შემოქმედითა მშობლიური კუთხეების და ადგილების მიხედვით, სადაც შესაძლოა იყოს მათი სახლ-მუზეუმიც. 700-ზე მეტი მწერლის განთავსების პრინციპი დიდიხარისაა — უადრესი ავტორი იაკობ ცურაბელოა, ხოლო ყველაზე მოგვიანო — გივი შაპნაზარი (გარდაიცვალა 2024 წლის სექტემბერში). გარდა იმისა, რომ ყველა ფოტოს აქვს თავისი ნომერი, რუკის მარჯვენა და მარცხენა მხარეს კალენდარულად და

დატანილი ყველა ავტორი თავის დაბადების თარიღთან და ლიტერატურულ ფსევდონიმთან ერთად. იმ ავტორთა შემთხვევაში, რომელთა დაბადების თარიღი ისტორიამ არ შემოინახა, მოყვანილია გარდაცვალების თარიღი. თუ გარდაცვალების თარიღიც უცნობია, მაშინ ეს იქნება მისი მოხსენიების თარიღი (ოფიციალურად მიღებული, როგორც რუსთაველის შემთხვევაშია) ან პირობითად დაშვებულია ჩვენს მიერ. გარდა ქართველი, აფხაზი და ოსი მწერლებისა, რუკაზე ვხვდებით ასევე სხვა ეროვნების მწერლებსაც, რომელთათვისაც საქართველო და ქართული კულტურა მშობლიური იყო. ამ რუკის შედგენის იდეის ავტორი მე გახლავართ. ჯგუფს, რომელმაც ეს იდეა განახორციელა, მატონი ლევან თაქთაქიშვილი ხელმძღვანელობდა. დიზაინის ავტორია მატონი ზაბალონ ქობლანიძე“, — განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.


ღონისძიებას რუკაზე აღბეჭდილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შთამომავლები დაესწრნენ. კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ ფესტივალ „ქუჩის“ მედალი გადასცეს.

ივალისური პრემია ნინო ხარატიშვილის

ქართულ მწერალს ნინო ხარატიშვილს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრემია მიენიჭა.

ნიგნისთვის „უკმარი სინათლე“ მან მარინო ლაშვის სახელობის საერთაშორისო პრემია მიიღო. პრემია საუკეთესო იტალიურ და უცხოურ მხატვრულ ნივთს გამოავლენს და აჯილდოვებს.

ნინო ხარატიშვილის „უკმარი სინათლე“ იტალიურად გამოცემლობა Marsilio-მ გამოსცა.



„მარო წერეთლის დღიური“

19 ოქტომბერს „მარო წერეთლის დღიური“ წარდგენა გაიმართა.

„მარო წერეთლის დღიური“ — ნაციონალისტური და ფემინისტური ორგანიზაციის შექმნის ბრალდებით დააპატიმრეს ალექსანდრე წერეთელი — სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი, გამოჩენილი ისტორიკოსი, პედაგოგი...

„ქართული საზოგადოებრივი კლუბის“ წევრობა, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ საღამოებს აწყობდნენ, „ქვეყნის მტრობდა“ ჩაუთვალეს და 20 წლით მოაშორეს სამშობლოს, ოჯახს, მეუღლეს...

მარო წერეთელმა სრულად გაიზარა მეუღლის განსაცდელი. ოცი წლის განმავლობაში მისდევდა მის კვალს ცენტრალური აზიის უდაბნოებში უხვად მიმოხვეული მანაკებში. სახლდებოდა მეზობლად, შეძლებისდაგვარად, აწვდენდა ხმას, შორიდან ამხვევდა, ეფერებოდა... ასე დადიოდნენ ერთი ბანაკიდან მეორეში, მეორედან მესამეში ასე. გაუთავებლად 20 წელი!..

ამ წიგნი მოთხრობილია საჭლოთა რეპრესიული მანქანის ბლვარდადგენის სიყვარულის გამოცდის ამბავი... დაბრუნდნენ, გადარჩნენ, გაუძლეს!..

უხსოვრი ვალუტის კურსი:
 აშშ დოლარი - 2.7143; ევრო - 2.9567;
 ბრიტანული გირანძახ სტერლინგი - 3.5337;
 100 რუბლი - 2.7939; თურქული ლირა - 0.0793;
 აზერბაიჯანული მანათი - 1.5966;
 1000 სომხური დრამი - 7.0133.

საქართველო
 www.sak.ge • tel. 070 4(479.22) 3-323

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულაია
 (599-36-00-35);
 რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
 (597-22-07-04),
 შემოქმედებითი ჯგუფი:
ალექო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბეგიძე,
გია პლატონიშვილი,

პირისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულაია
 (577-77-27-17),
 სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კვციელი,
მაია ივანიშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთის განახლებული
 ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეშიანი

მისამართი:
 თბილისი, აკაკი
 წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
 ელექტრონულ
 მისამართზე:**
 sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
 და ხელმძღვანელობს
 თავისუფალი პრესის
 პრინციპით. რედაქციის
 აზრი, შესაძლოა, არ
 ემთხვეოდეს ავტორთა
 მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
 პასუხისმგებელია
 ავტორი.
 საავტორო უფლებები
 დაცულია. რედაქცია
 პასუხს არ აგებს
 სოციალური ქსელიდან
 და სხვა მედია-
 საშუალებებიდან
 გადმოხვედნილ, ან
 უცხოური პრესიდან
 თარგმნილი მასალების,
 ფაქტების, ინფორმაციის
 სიზუსტეზე,
 აგრეთვე სარეკლამო
 განცხადებების
 შინაარსსა და სტილზე.

იხილეთ სტამბა
„კოლორი“
 ე. ბაღდავაძის №3

კოლორი
 ჯგუფი

UAC(უბაკ)070.4(479.22)
 C-323

2 009882 616932

რეკლამისთვის დაწვავთ:
577-77-27-17
 rkobulia29@gmail.com
 ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

**გაზეთის
 მომსახურ
 ნომერი
 გამოვა
 ორგანიზაცია
 21 ოქტომბერს**